რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 6 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 4 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 4

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

### ყოველ დღიურ გაზეთებზე

### „ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ზნამია ტრუდა“-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე“ ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით—**12** მან., ერთი თვით—**2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

## მობილიზაცია.

ამიერ კავკასიის კომისარიატი აღარა ხუმრობს. ის მოუწოდებს 19-დან 32 წლამდე მიღწეულ ჰასაკის მცხოვრებთ დაუყონებლივ გამოცხადდენ და სამხედრო ბეგარა მოიხადონ. მობილიზაცია ეხება ყველას გარდა რკინის გზის, ფოსტის, [illegible] წესებულებათა მუშებისა. შეღავათი ეძლევა მხოლოთ ოჯახის ერთად ერთ მარჩენალთ,

რა ამბავია, რა მოხდა? აკი ქვეყანას ყურები გაუჭედეს — ოსმალეთთან საუკეთესო პირობებით შევკარით დროებითი ზავი, რომელსაც ვ და აქვს მუდმივი ზავის დამყარებამდეო. მაშ თუ ოსმალეთი არ გვემუქრება, ეს ფიცხელი მობილიზაცია რაღას მოასწავებს?

ფრონტი გაშიშვლდა და ამის დამნახავ ოსმალეთს შეუძლია დაარღვიოს პირობა და კვლავ განაგრძოს ომი, რაც ჩვენგან თავდაცვას მოითხოვსო,—აი რა აქვს სათქმელი ამიერ კავკასიის კომისარიატს.

გაბატონებული კლასები სიტყვით მუდამ ქვეყნისთვის ზრუნავენ მაშინაც კი, როდესაც დიდ უბედურებას ატეხენ მას თავზე. ხალხის აშკარათ საზარალო საქმის დაწყებას ისინი გარეშე და დამოუკიდებელ მიზეზებს აბრალებენ და მით ცდილობენ პასუხის გება თავიდან აიცდინონ.

ახლა ჩვენში გაბატონებული პარტიები ხელზე იხვევენ იმ მოსაზრებას, რომ ჯერ ნამდვილი ზავი არ დამყარებულა და შესაძლებელია ომი განახლდესო, ამავე დროს ისინი გადმოგვცემენ, როგორც უტყუარ ცნობას, რომ ოსმალეთის დელეგაცია თფილისში აპირებს მოსვლას სეპარატიული ზავის წინადადებითო. ეს წინადადებაც უეჭველათ მიღებულ იქნება, რადგან აქ მას მოწინააღმდეგე არა ყავსო. მიუხედავათ ყველა ამისა, მობილიზაცია მაინც ცხადდება.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის მაინც გამოცხადდებოდა, თუნდაც ზავი მართლა ყოფილიყოს შეკრული საბაბათ და მიზეზათ ისიც იკმარებდა, რომ ოსმალეთი ხელმეორეთ გამოაცხადებს ომს, თუ ჩვენ მუდმივი ჯარი არ გვეყოლა.

მუდმივი ჯარი ყოველთვის უნდა გაბატონებულ კლასს სახელმწიფოში და კომისარიატის მიერ გამოცხადებული მობილიზაციაც სისწორით გამოხატავს მის ტენდენციას — შეიქნეს გაბატონე[illegible] შეიარაღებას ვერ ურიგდება გაბატონებული კლასი და სრულიათ შემთხვევით არ არის, რომ კომისარიატმა სწორეთ ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც ყოფს ჯარს ხალხიდან, უმორჩილებს მას მათრეველ კლასს და უპირდაპირებს უიარაღო ხალხს.

ბუნებრივია კომისარიატის ეს ნაბიჯი იმ მხრითაც, რომ ის განაგრძობს რევოლიუციონური რუსეთის არ ცნობას, მისგან ჩამოშორების პოლიტიკას. საზავო მოლაპარაკებაში დამოუკიდებლათ გამოსვლით კომისარიატი მჭიდროთ უკავშირდება უკრაინის კონტრ-რევოლიუციონურ რადას. რუსეთის საერთო ფრონტში ამით დეზორგანიზაცია შეტანილი და მით საფრთხე აქვს გამზადებული საზავო კამპანიას, გარდა ამისა, კომისარიატის მიერ საკუთარი ფულის გამოცემაც აშკარათ ხდის მის მისწრაფებას—გასწყვიტოს კავშირი რუსეთთან, მიუხედავათ იმისა, რომ ეკონომიურათ მისგან დამოკიდებულია: ყველა ეს მთლათ წარმოადგენს მისწრაფებას საკუთარი სახელმწიფოს შედგენისას, რაიცა ახლა უნდა დაგვირგვინდეს საკუთარი მუდმივი ჯარის შექმნით.

რისთვის არის ნამდვილათ ჯარი საჭირო? შინაური მტრების წინააღმდეგ. ფრონტის დაცვა აქ მხოლოთ საბაბია, რომელიც ოსტატურათ უნდათ გამოიყენონ. ფრონტს იცავდა ჯარი, მაგრამ სწორეთ კომისარიატის პოლიტიკამ გააშიშვლა ფრონტი. კავკასიის მესვეურმა პარტიებმა მოუწოდეს ფრონტიდან ადგილობრივ მკვიდრთ და მით პროვოკაციულათ გამოიწვიეს რუსის ჯარის დაძვრა ბრძოლის ველიდან.

მაგრამ რაც ამ მხრით გაბატონებულმა პარტიებმა ვეღარ მოასწრეს, მას კომისარიატი ასრულებს. სამობილიზაციო მოწოდებაში განსაკუთრებულათ ნათქვამია არაკავკასიელების შესახებ, რომ თუ ისინი აქ არ იმსახურებენ, კავკასიიდან უნდა წავიდენ დაუყოვნებლივო. ესე იგი კომისარიატს მათზე ხელი არ მიუწვდება, როგორც უცხოეთის ქვეშევრდომებზე და როგორც ასეთებს, ის მათ თავის საზღვრებიდან [illegible] უდიდეს პროვოკაციას.

კომისარიატის პოლიტიკური კურსი იმ თავითვე ჩამოყალიბდა ის არის აშკარა კონტრ-რევოლიუციონური და მოღალატური.

---

## მომენტი.

### 5. რევოლიუციის პროგრამა.

ჟორდანია არ სცნობს ოქტომბრის რევოლიუციას, არ სცნობს ამ რევოლიუციის მიერ შექმნილ მთავრობას. რატომ?

მთავრობის ცნობა თუ არ ცნობა სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ამ მთავრობის პროგრამა, რას აკეთებს ის. სხვა რამ მოსაზრებას აქ ადგილი არა აქვს. თუ ამ მთავრობის პროგრამა ბურჟუაზიულია, მას არ იცნობს პროლეტარიატი, თუ პროგრამა პროლეტარულ სოციალისტურია, მას არ იცნობს ბურჟუაზია. ეს დღესავით ნათელია.

რას ფიქრობს ამ საკითხის შესახებ ჟორდანია? რა თვალით უყურებს ის სახალხო კომისარების საბჭოს პროგრამას? ის სწერს: „ეჭვი არ არის, ოქტომბრის გადატრიალებაც ისახავს ისეთ მიზნებს, რომლებსაც იზიარებს საზოგადოების უმრავლესობა. ასეთია მაგალითათ, ომის დათავება და გლეხებისთვის მიწის გადაცემა“.

მიუხედავათ ამისა, ჟორდანიას მაინც არ მოსწონს ეს მთავრობა და არ მოსწონს პირველ ყოვლისა, მისი საზავო პოლიტიკა. „ჩვენ ყველას გვინდა ზავი ჩამოვაგდოთ,—ამბობს ის,—მაგრამ არა იმ გზით და იმ მეთოდით, რომელსაც ბალშევიკები მიყვებიან. თქვენ იცით, როგორი ზავი გვაქვს ჩვენ დღეს. ფრონტი სავსებით გაშიშვლდა, საფრთხე მოგველის როგორც ოსმალეთის, ისე ვილჰელმის მხრით“.

თურმე ბალშევიკების საზავო პოლიტიკაა იმაში დამნაშავე, რომ ფრონტი გაშიშვლდა! მეოთხე წელიწადია წელში გაწყვეტილი ჯარი იარაღის ქვეშ იტანჯება [illegible] აშკარა შეიქნა, რომ თუ ჯარს არ მიეცა ზავის იმედი დიდი უბედურება დატრიალდება: ის მიატოვებს ფრონტს, გაბოროტებული მობრუნდება შინ და ყოველივე მწყობრ მოქმედებას მოკლებული უწყალოთ წალეკავს საკუთარი ქვეყნის კულტურას. აშკარაა, ყოველი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული, რომ ჯარს ამ სასოწარკვეთილებამდე არ მიეღწია. ასეთი ზომა იყო გაბედული საზავო პოლიტიკა, რომელმაც უკვე გამოიღო ნაყოფი და დამყარდა დროებითი ზავი. მიუხედავათ ამისა, ჯარის საერთო მოქანცულობა იმდენათ დიდი ყოფილა, რომ ფრონტი მაინც შიშვლდება. ეს უბედურებაა, რადგან საფრთხეში აგდებს როგორც ზავის, ისე ქვეყნის საქმეს. მაგრამ რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ არ მოესწრო დროებითი ზავს, რომელმაც, უეჭველია, კეთილი გავლენა მოახდინა ჯარის სულიერ განწყობილებაზე? რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ ზავის ნაცვლათ კვლავ ზარბაზნების გრიალი ყოფილიყო პოზიციებზე და სასოწარკვეთილ, შინ მომავალ ჯარს უკან დასდევნებოდა გამარჯვებული მოწინააღმდეგე? ქვეყნის სრული განადგურება ერთად ერთი შედეგი იქნებოდა ამ მდგომარეობისა.

ამას კი ანგარიშს არ უწევს ის, ვინც ბალშევიკების საზავო პოლიტიკას იწუნებს. თითქოს შესაძლებელი იყოს რომელიმე ჭკუათა-მყოფლისთვის ამ პირობებში სხვა გზა და მეთოდი ზავის დასამყარებლათ და მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლათ!

ბალშევიკების პოლიტიკას იწუნებს ის მიმართულება, რომელმაც ნახევარი ნაბიჯიც ვერ გადადგა ზავის მოსაახლოვებლათ და მით გააბოროტა, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, მიადუნა და მოქანცა ჯარი.

ფრონტის გაშიშვლების საქმეში ამ საერთო მიზეზებს გარდა დიდ როლს თამაშობს ის მუხანათური პოლიტიკა, რომელსაც ერთგულათ აწარმოებენ ხალხის მტრები და ორგულნი საზავო კომპანიის დაწყების დღიდან. „რატომ არ ფიქრობს რუსეთის ჯარის კაცი, რომ საზღვრის მიტოვებით იგი ხელს უწყობს სახელმწიფოს დაშლას?“ ჩვენ მივუბრუნებით ამ სიტყვებს მის მთქმელს და ცოტა გადაკეთებით ვკითხავთ: „რატომ არ ფიქრობს ნოე ჟორდანია, რომ საზღვრის მიტოვებით, საითკენაც ის მოუწოდებს ქართველ ჯარისკაცებს, იგი ხელს უწყობს ფრონტის დეზორგანიზაციას, საზავო კამპანიის ჩაფუშვას და სახელმწიფოს აოხრებას?

დიახ, სწორეთ ნოე ჟორდანია პირველი აწერს ხელს იმ დოკუმენტს, რომელიც მოუწოდებს ქართველ აფიცრებს და სალდათებს დასტოვონ დასავლეთის და თვით კავკასიის ფრონტი და მოაშურონ საქართველოს. თან უკმაყოფილოა,—ფრონტი შიშვლდებაო. მაშ რა გავლენა უნდა მოახდინოს ამ მოწოდებამ რუსის ჯარის კაცზე, რომელიც მეოთხე წელიწადია სხვა ეროვნების სალდათებთან ერთათ კავკასიის ფრონტს იცავს! ერთ მშვენიერ დღეს ის ხედავს, რომ ქართველი სალდათები სახლში წასასვლელათ ემზადებიან.—საით ამხანაგებო, ჯერ ომი ხომ არ გათავებულა?—საქართველო საფრთხეშია, ჩვენ უნდა დავიცვათ იგი,—აი რა პასუხი ესმის მას. რა აზრები გაუელვებს მას თავში ამ სიტყვების გაგონებაზე? ჩვენ ამ ქვეყანას ოთხი წელიწადია ვიცავდით, ის თქვენი ყოფილა,—ღმერთმა მოგახმაროთ, დაიცავით იგი თქვენ; ჩვენ კი წავალთ ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც არა ნაკლებ უშლის ხელს [illegible] ეს კორნილოვები და კალედინები დათარეშობენ, ჩვენს ქვეყანასაც დაცვა უნდა. და ქართველ სალდათთან ერთათ რუსიც სტოვებს კავკასიის ფრონტს. ახირებული კი იქნებოდა, რუსის ჯარის კაცისთვის, რომ წაეყენებინათ მოთხოვნილება: ქართველები წავლენ, შენ კი დაიცადე და ძველებურათ განაგრძე ფრონტის დაცვა, სანამ წასულნი ნ[illegible] პოლკებს არ შეადგენენ და უკან არ დაბრუნდებიანო.

ასევე მოიქცა უკრაინის რადაც, რომელმაც ფრონტიდან მოხსნა უკრაინის სალდათები ცენტრალურ მთავრობის დაუკითხავათ და ამით დეზორგანიზაცია შეიტანა ფრონტში და ზავის საკითხი საფრთხეში ჩააგდო. ეს ყველაფერი განგებ, წინასწარ განზრახული ბოროტი მიზნით იყო ნაკარნახევი. მაგრამ რა შუაშია აქ ბოლშევიკები? ეს ზომები სწორეთ მათ წინააღმდეგ არის მიმართული და აქედან წარმომდგარ შედეგებს კი მაინც მათ აბრალებენ.

ბოლშევიკებმა მიიღეს კიდეც ზავი, მაგრამ ჩვენ არ გვინდოდა ასეთი ზავიო —აცხადებს უკმაყოფილო ჟორდანია. თქვენ როგორი ზავიც გინდოდათ, აშკარათ დაინახეთ ყველამ თქვენი რვა თვის მოღვაწეობით და უმჯობესია მას აღარავის მოაგონებდეთ.

მაგრამ ეს ყველაფერი თურმე არაფერია. უდიდესი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ახალი მთავრობის ცნობას, ის არის, რომ ის აკეთებს სოციალისტურ ექსპერიმენტებს, შემოაქვს სოციალიზმი. რაში გამოიხატება ეს ექსპერიმენტები; რომლებსაც ბოლშევიკები თავს ახვევენ ქვეყანას, მომხსენებელი არაფერს გვეუბნება. მას უმჯობესათ მიაჩნია, აქედან დაასკვნას, რომ „ოქტომბრის ამბები ეს უმრავლესობის წინააღმდეგ უმცირესობის ამხედრებაა“. უმცირესობაა რუსეთის პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა, რომელთაც მოახდინეს ოქტომბრის რევოლიუცია და უმრავლესობაა ბურჟუაზია და მისი ამყოლი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელიც გაშმაგებით ებრძვის როგორც ზავს, ისე მიწის საკითხის რადიკალურათ გადჭრას.

ბურჟუაზია ებრძვის მუშების და გლეხების მთავრობას, რადგან ეს უკანასკნელი ანხორციელებს ზავს და რადიკალურათ სჭრის მიწის საკითხს. მაგრამ ბურჟუაზია არ ააშკარავებს თავისი წინააღმდეგობის ნამდვილ მიზეზს, ისიც სოციალიზმს იხვევს ხელზე და ვითომდა მის უდროოთ შემოღებას უჩივება. ნამდვილათ კი ზავის და მიწის პროგრამაა, რომ ახალი მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებს მის კლასიურ მოპირდაპირეთ. მართალია ზავის და მიწის საკითხის გადაჭრა გზას უკაფავს სოციალიზმს და ახალი მთავრობა სამართლიანათ უწოდებს თავის თავს სოციალისტებს და მის წარმომშობ ოქტომბრის დღეებს კი სოციალისტურ რევოლიუციას, მაგრამ დღეს მის წინააღმდეგ დარაზმულან არა სოციალიზმის, არამედ უახლოესი მიზნების უარყოფისა გამო.

### 6. დამფუძნებელი კრება.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ თანამედროვე ცხოვრების მამოძრავებელი ღერძი არის კლასთა ბრძოლა. არსებობს კლასთა ბრძოლა, არსებობს მებრძოლი მხარეებიც. ესენი არიან უმთავრესათ პროლეტარიატი და ბურჟუაზია. პარლამენტი, დამფუძნებელი კრება და სხვა ასეთი დაწესებულებები, სადაც თავს იყრის მთელი ხალხის და მაშასადამე ყველა მებრძოლი მხარეების წარმომადგენელნი, ერთგვარი კონგრესია, სადაც მებრძოლთა შორის სწარმოებს სამშვიდობო მოლაპარაკება და სადაც დროებით ზავის პირობები მუშავდება რეალური ძალთა განწყობილების მიხედვით.

აშკარაა, დამფუძნებელი კრების იმედით ყოფნა აქტიური ბრძოლის უწარმოებლათ პირდაპირ დამღუპველია ჩაგრული კლასისთვის. მან თუ ბრძოლით არ გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა და ფაქტიურათ არ შეიტანა ცვლილება მებრძოლ ძალთა ურთიერთობაში, ვერაფერს ვერ მიიღებს ის დამფუძნებელი კრებიდანაც.

დამფუძნებელი კრების ლოდინი მარჯვეთ გამოიყენა ბურჟუაზიამ ხალხის ძალთა დასაუძლურებლათ. არც ზავის, არც მიწის და არც სხვა საყურადღებო საკითხებში ოდნავი ცვლილებაც არ მომხდარა. ძალით აღჭურვილი ხალხი მენშევიკ-ესერების მეთაურობით გულუბრყვილოთ უცდიდა, როდის დასთმობდა ნებაყოფლობით გაბატონებული კლასი თავის პოზიციას. ბოლოს გამოფხიზლებულმა ხალხმა მედგარი იერიში მიიტანა მტერზე და ძირიანათ შესცვალა ძალთა ურთიერთობა. პოლიტიკური ძალა-უფლება დაჩაგრულმა კლასმა აიღო ხელთ და ამით ძლიერი იარაღი წაერთვა დამჩაგვრელ კლასს. ასეთ პირობებში იკრიბება დამფუძნებელი კრება.

რა უნდა გააკეთოს დამფუძნებელმა კრებამ? მან უნდა დაადასტუროს რევოლიუციის მონაპოვარი და მაშინ ის თვითონაც ძლიერ იარაღათ გადიქცევა გამარჯვებული ხალხის ხელში. ასეთია მშრომელი კლასის პოზიცია დამფუძნებელი კრების შესახებ.

მაგრამ არა ნაკლები იმედით უყურებს დამფუძნებელ კრებას ბურჟუაზიაც. მას იმედი აქვს, რომ ეს კრება დაგმობს რევოლიუციას და ძალა-უფლებას კვლავ ბურჟუაზიას მიანიჭებს. ყოველ შემთხვევაში ეს ერთათ-ერთი იმედი და-რჩა ბურჟუაზიისთვის და ახლა ის თავგამოდებით იცავს დამფუძნებელ კრებას, მაშინ როდესაც მთელი ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდა მის მოწვევას, როცა ეს მთლიათ მისგან იყო დამოკიდებული.

აქედან ცხადია, დამფუძნებელი კრება გადიქცევა ბრძოლის ასპარეზათ და ყოველი მებრძოლი მხარე შეეცდება მის თავის სასარგებლოთ გამოყენებას. როგორი იქნება ამის შედეგი?

აი რას ამბობს ამის შესახებ ჟორდანია:

„დამფუძნებელი კრება აერთიანებს მთელ ქვეყანას, იგი გამოიყვანს რუსეთს იმ ჩიხიდან, რომელშიაც ბოლშევიკებმა მიიყვანეს. მაგრამ ბოლშევიკებმა კარგათ იციან, რომ დამფუძნებელი კრების ძალა-უფლების დასაწყისი იქნება მათი ძალა-უფლების დასასრული. ამიტომ ებრძვიან ისინი დამფუძნებელ კრებას.“

მაშასადამე, დამფუძნებელი კრება არ სცნობს ოქტომბრის რევოლიუციას, არ სცნობს ამის შემდეგ გამოცემულ დეკრეტებს ზავის და მიწის შესახებ და ყველა იმ ნაბიჯებს, რომელიც გააკეთა სახალხო კომისრების საბჭომ. რისი იმედი აქვთ ამ შემთხვევაში ბოლშევიკების მოწინააღმდეგეთ?

მხოლოთ იმისი, რომ რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე მშრომელი ხალხი კიდევ ვერ არის შეკავშირათ დარაზმული. მან ბევრ ალაგას გაიყოლა ესერების პარტია, რომელიც ამის შემდეგ ორათ გაიყო. ამ პარტიის წარმომადგენლებიდან ბევრი მოყვა დამფუძნებელ კრებაში ისეთი, რომელიც სრულიათ აღარ გამოხატავს თავის ამომრჩევლების—მშრომელი გლეხობის—ინტერესებს. წარმოების მხრით ჩამორჩენილ კუთხეებშიაც მუშათა კლასმა ზოგ ალაგას მენშევიკ-ესერებს გამოუცხადა ნდობა. ეს ნდობა დღეს ძირიანათ შერყეულია. მაგრამ ამას არ დაგიდევთ გაკოტრებული პირები. ჩვენა ვართ, რაც ვართ, [illegible] დამფუძნებელი კრება დღევანდელი შემადგენლობით და რაც გადასწყვიტოს, სავალდებულო იყოს ყველასთვისო —აცხადებენ ისინი.

მაგრამ მებრძოლ მხარეთა წარმომადგენლობა თუ სწორი არ იქნა, სამშვიდობო მოლაპარაკება ჩაიფუშება. ხალხს მუდამ უნდა ქონდეს უფლება უკან გაიწვიოს ის დეპუტატი, რომელიც აღარ გამოხატავს მის ინტერესებს. ამას უზრუნველ-ყოფს სახალხო კომისრების მთავრობის მიერ გამოცემული კანონი დეპუტატის გადაყენების შესახებ. თუ ეს კანონი არ სცნო დამფუძნებელმა კრებამ, თუ მან მოინდომა ხალხის სახელით ლაპარაკი, მაშინაც კი, როცა მას ხალხი ნდობას არ უცხადებს და ამნაირათ თუ გაიყალბა ხალხის წარმომადგენლობა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებაზე მოსული ბურჟუაზია და მისი დამქაშები ომს აცხადებენ და უნდათ ერთხელ კიდევ სცადონ ბედი. რა თქმა უნდა, გამარჯვებული ხალხი უკან ვერ დაიხევს და არ დასთმობს ბრძოლით აღებულ პოზიციას მარტო იმის გამო, რომ მისი წარმომადგენლობა დრომოჭმული კანონის წყალობით მის მტრებს ჩაუვარდა ხელში.

გაიმარჯვებს თუ არა ამ ბრძოლაში ხალხი? ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენათ ენერგიულათ დაუჭერს მხარს პეტერბურგ-მოსკოვის პროლეტარიატს სხვა ქალაქების და განაპირა ჩამორჩენილ კუთხეების მშრომელი ხალხი. წამოეგება თუ არა ის მტრების ანკესს, რომლებიც იძახიან: მთელი ძალა-უფლება დამფუძნებელ კრებას, როგორიც შემადგენლობისაც უნდა იყოს და რაც უნდა გადასწყვიტოს მანო. ცენტრალური რუსეთის პროლეტარიატს ამჟამათ უჭირავს ხალხის განთავისუფლების დროშა და მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლება-გასაჭირისა მედგრათ აწარმოებს ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მტრებს იმედი აქვთ ჩამორჩენილ კუთხეებისა. მაგრამ ეს სიმაგრეც ირღვევა, პროლეტარული შეგნება ფართოთ ვრცელდება, მტკიცდება მშრომელი ხალხის სოლიდარობა და შორს არ არის ის დრო, როდესაც ის მჭიდროთ გაერთიანებულ ფრონტათ აღიმართება თავის მტრის წინააღმდეგ, ჩამორჩენილი ეწევა მოწინავეს.

ჟორდანია უკუღმა უყურებს საკითხს. ის იქ ხედავს ჩამორჩენას, სადაც მოწინავეა და იქ მოწინავეს, სადაც ჩამორჩენაა. ის სწერს: „ბოლშევიზმი ძლიერდება, ვინაიდან მის მტკიცე საფუძველს ქვეყნის ჩამორჩენა შეადგენსო.“ ეს შეხედულება მთავარულ აზრათ არის გავრცელებული მენშევიკების წრეებში. მას ის უპირატესობა აქვს, რომ სრულიათ ანთავისუფლებს მათ გაარკვიონ, შეისწავლონ და გაიგონ შექმნილი მდგომარეობა. რა ვუყოთ, რომ რუსეთის პროლეტარიატი მხარს უჭერს ბოლშევიკებს, ის ჩამორჩენილიაო, იმიტომ ისინი არჩევენ და თავის თავზე შეყვარებულნი მუხანათურათ ღალატობენ პროლეტარულ დროშას.

რა არის ამ შეხედულებაში პრინციპიალური? სრულიათ არაფერი. მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ მასაც ანგარიში გაუწიოთ და შემდეგი უსხრათ მის მომხრეთ. ჩამორჩენა არის და ჩამორჩენაც. ყველაფერი შედარებითია. წარმოების მხრით რუსეთი ჩამორჩენილი ქვეყანაა გერმანია—ინგლისთან შედარებით. მაგრამ ჩვენ პეტერბურგ-მოსკოვთან შედარებით ჩამორჩენილათ მიგვაჩნია მთელი ამიერი, სადაც მენშევიკებმა იმდენი ხმა მიიღეს, რამდენიც მათ მთელ რუსეთში არ მიუღიათ. როგორ მოხდა, რომ პეტერბურგ-მოსკოვში გაკოტრებული მენშევიზმი ამიერში განაგრძობს გაბატონებას და აქედან პირებს რუსეთის ხსნას? პეტერბურგმა უნდა იხსნას ამიერის პროლეტარიატი!

დასასრულ, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი წვრილმანი, რომელიც ცხადყოფს მენშევიზმის ბურჟუაზიულ სულისკვეთებას.

ჟორდანიამ ამ სიტყვებით გაათავა თავისი მოხსენება: „ასეთივე (ნიკოლოზ მეორის) ქნება ლენინის ბედიც, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ნიკოლოზ მეორემ დაჰკარგა თავისი გვირგვინი, ლენინი კი დაჰკარგავს თავს“. ამ სიტყვებს მქუხარე ტაშისცემით შეეგება კრება და მომხსენებელს ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა.

საქმე ხომ ლენინში არ არის, რომელიც მხოლოთ მედროშეა ბრძოლაში ჩაბმულ რევოლიუციონური ხალხის, მაგრამ ბურჟუაზია ძვირფას საჩუქარს გაიღებდა, თუ მას ლენინის თავს მიუტანდენ. ჟორდანია პირდება, რომ ეს თავი მალე გაგორდება. ამ სიტყვებში სჩანს (და სჩანს მეტათ აშკარათ) დაუფარავი სურვილი და ნატვრა, რომ მალე დადგეს ეს დრო. მაგრამ არა გვგონია, ჟორდანიამ მიიღოს და შეერგოს ლენინის თავის საფასური, რადგან თუ ლენინის თავი გაგორდა, მას აუცილებლათ მიჰყვება ჟორდანიას თავიც, ან იქნებ ჟორდანიამ ქართულ ეროვნულ საბჭოში მო-

კალათების შემდეგ სრულიად გასწყვიტა ყოველივე კავშირი არა მარტო სოციალიზმთან, არამედ დემოკრატიზმთანაც და მით უზრუნველყო თავისი თავი ყოველგვარ ხიფათისაგან? ეგრე იყოს. ჩვენ კი ვიტყვით, რომ საფრთხე მოელის არა ლენინის თავს, არამედ ბურჟუაზიულ ოქროს ზბოს სამეფოს, რადგან უკვე დაიმსხვრა მასი ტაძარი და მოელო ბოლო მის თაყვანისცემას.

მ. ტოროშელიძე.

## ტეზისები დამფუძნებელ კრების შესახებ.

1. რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიული პროგრამა კანონიერათ მოითხოვდა, რათა მოწვეული ყოფილიყო დამფუძნებელი კრება, ვინაიდან ეს უკანასკნელი ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში უნდა ჩაითვალოს დემოკრატიზმის უმაღლეს ფორმათ, ვინაიდან კერენსკის იმპერიალისტური რესპუბლიკა ერთის მხრივ ქმნიდა წინასწარ პარლამენტს და მეორის მხრივ ყალბ არჩევნებს ნიადაგს უმზადებდა დემოკრატიზმის დარღვევით.

2. რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია, მოითხოვდა რა რევოლიუციის პირველ დღიდანვე დამფუძნებელ კრების მოწვევას, იმავე დროს არა ერთხელ უსვამდა ხაზს იმ აზრს, რომ საბჭოების რესპუბლიკა წარმოადგენს დემოკრატიზმის უმაღლეს ფორმას, ვიდრე ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რესპუბლიკა თავის დამფუძნებელი კრებით.

3. ბურჟუაზიული წესწყობილებიდან სოციალისტურზე გადასასვლელათ, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლათ—საბჭოების რესპუბლიკა იქნება არამც თუ ფორმა დემოკრატიულ დაწესებულებათა უმაღლეს ტიპისა, არამედ ერთად ერთი ფორმა, რომელიც უმტკივნეულოთ უზრუნველ ჰყოფს სოციალიზმში გადასვლას,

4. დამფუძნებელი კრების მოწვევა ჩვენს რევოლიუციაში იმ სიებით, რომელნიც შედგენილნი იყვნენ ოქტომბრის ნახევარში 1917 წ., ხდება იმ პირობებში, რომელნიც ხელს უშლიან საზოგადოთ ხალხის და კერძოთ მშრომელ მასების გამოსთქვან სწორეთ თავის ნებისყოფა არჩევნების შემწეობით.

5. ერთი რომ, პროპორციონალური სისტემა არჩევნებში იმ შემთხვევაშია გამომხატველი ხალხის ნების ყოფისა, როდესაც პარტიული სიები შეხამებულნი არიან ხალხის რეალურ დაყოფასთან ჯგუფებათ, რომელნიც სიებში გამოიხატებ. ჩვენში როგორც ვიცით, ს.-რ. პარტიამ, რომელსაც მაისიდან ოქტომბრამდე ბევრი მიმხრე ყავდა ხალხში, განსაკუთრებით გლეხობაში, ოქტომბრის ნახევარში წარმოადგინა ერთიანი სია დამფუძნებელი კრებისთვის, მაგრამ შემდეგში ე. ი. ოქტომბრის ნახევრის შემდეგ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ეს პარტია ორათ გაიყო. ამის გამო დღეს ფორმალურათაც აღარ არსებობს შეთანხმება ამომრჩეველთა მასისა და მიერ არჩეულ კანდიდატთა შორის.

6. მეორე, რომელსაც აქვს არა ფორმალური, იურიდიული, არამედ უფრო არსებითი მნიშვნელობა, მნიშვნელობა საზოგადოებრივ-ეკონომიური, კლასიური; ხალხის და უმეტესათ მშრომელ მასის ნების ყოფის და დამფუძნებელი კრების შემადგენლობის შორის, შეუთანხმებლობას იწვევს ის გარემოება, რომ დამფუძნებელ კრებისთვის არჩევნები მოხდა მაშინ, როდესაც ხალხმა არ იცოდა კიდევ სიფართოვე და მნიშვნელობა ოქტომბრის პროლეტარ-გლეხური რევოლიუციისა, რომელიც დაიწყო ოქტომბრის 25 1917 წელსა და რომელიც, მაშასადამე მოხდა დამფუძნებელ კრებისთვის კანდიდატთა სიის წარდგენის შემდეგ.

7. ოქტომბრის რევოლიუცია ჩვენ თვალწინ განიცდის თავის თანდათანობითი განვითარებას.

8. იგი დაიწყო გამარჯვებით 24—25 ოქტომბერს სატახტო ქალაქში, როდესაც მეორე სრულიად რუსეთის მუშათა და სალდათთა საბჭოების ყრილობამ, ამ პროლეტარების ავანგარდმა და გლეხობის პოლიტიკურათ მომქმედ ნაწილმა მიანიჭა უპირატესობა ბოლშევიკების პარტიას და დააყენა მართვა-გამგეობის სათავეში.

9) შემდეგში რევოლიუცია, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში თანდათან აქცევდა თავის ფარგლებში მთელს მხედრობას და გლეხობას, რომელიც გამოიხატებოდა უპირველესათ იმაში, რომ სცვლიდა და ახალ პირებს აყენებდა არსებულ სამხედრო კომიტეტების სათავეში, სრულიათ რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოშიდა სხ. ვინაიდან ეს კომიტეტები აწარმოებდენ თანხმობითი პოლიტიკას ბურჟუაზიასთან რევოლიუციაში და მაშასადამე, უნდა ჩამოშორებულიყვნენ ტახტიდან ფართო მასების ძალ-დატანებით,

10. ეს მშრომელი მასების ძლიერი მოძრაობა, რომელიც მიმართულია მათ ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებისაკენ, ჯერ კიდევ დღემდე დეკემბრის ნახევრამდე არ დასრულებულა არ დასრულებულა კიდევ რკინის გზაზე მოსამსახურეთა ყრილობა, რომელიც ერთი ეტაპთაგანია ამ მოძრაობისა.

11. რუსეთში კლასთა ძალების ურთიერთშორის განწყობილება მათ კლასიურ ბრძოლაში მხოლოდ ნოემბრის და დეკემბრის 1917 წლის აშკარავდება და ირკვევა, რომ ეს ურთიერთობა უფრო სხვანაირია ვიდრე იყო იგი პარტიულ კანდიდატთა სიებში ოქტომბრის ნახევარში 1917 წელსა.

12. უკანასკნელი ამბები უკრაინაში (აგრეთვე ფინლანდიაში, ბელორუსიაში და კავკასიაში) მოხდარი მაჩვენებელნი არიან კლასთა ძალების ახალ გადაჯგუფებისა, რომელიც ხდება ბრძოლის პროცესში უკრაინის რადის ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ფინეთის სეიმის და სხ. და საბჭოების მთავრობის შორის ჩამოთვლილ ნაციონალურ რესპუბლიკებში.

13. სამოქალაქო ომმა, რომელიც გამოუცხადა საბჭოთა მთავრობას, ე. ი. მუშათა და გლეხთა მთავრობას კადეტ-კალედინის კონტრ-რევოლიუციონურმა ჯგუფმა ხომ უარესათ გაამწვავა კლასთა ბრძოლა და მოსპო შეძლება, რომ ფორმალური დემოკრატიულის წესით გადაწყვეტილიყო საჭირ-ბოროტო კითხვები, ისტორიისგან წამოყენებული რუსეთის ხალხის წინაშე და უპირველესათ მუშათა კლასისა და გლეხობისა.

14. მხოლოდ მუშათა და გლეხთა სრული გამარჯვება მემამულეების და ბურჟუების აჯანყებაზე, რომელიც გამოიხატა კადეტებ-კალედინების მოძრაობაში, მხოლოდ დაუნდობარი, იარაღით ხელში, ჩაქრობა ამ აჯანყებისა—უზრუნველჰყოფს პროლეტარების და გლეხების რევოლიუციას. ვითარების მსვლელობას და კლასთა ბრძოლას რევოლიუციის ხანაში შედეგათ ის მოყვა, რომ ლოზუნგი: „მთელი ძალა უფლება დამფუძნებელ კრებას", თითქო „ჩირათაც" არ თვლის მუშებისა და გლეხების რევოლიუციის მონაგარს. არაფრათ არ აგდებს საბჭოს მთავრობას. ანგარიშს არ უწევს მეორე სრულიათ რუსეთის გლეხთა დეპუტატების ყრილობას და სხ. ეს ლოზუნგი გადაიქცა კადეტების კალედინების და მით დამქაშთა ლოზუნგათ. ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ეს ლოზუნგი მიზნათ ისახავს საბჭოს მთავრობასთან ბრძოლას და თუ მართლა დამფუძნებელი კრება არ შეურიგდა საბჭოს მთავრობას, მაშინ მას პოლიტიკური სიკვდილი არ ასცდება,

15. ხალხის ცხოვრებაში ერთ უმთავრეს კითხვათაგანს შეადგენს—კითხვა ზავის შესახებ. რევოლიუციონური ბრძოლა ზავის სასარგებლოთ დაიწყო რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ 25 ოქტომბერში, და ამ ბრძოლამ გამოიღო პირველი ნაყოფი: საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებით, წინასწარის შერიგებით და საჯარო მოლაპარაკებით საერთო ზავზე უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ.

ფართო ხალხის მასებმა მხოლოთ ეხლა შესძლეს საქმით, სავსებით და ნათლათ ენახათ რევოლიუციონური ბრძოლის პოლიტიკა ზავის სასარგებლოთ და წყებული და შეესწავლათ მისი შედეგები.

არჩევნების დროს კი დამფუძნებელ კრებისთვის ხალხის ფართო მასები მოკლებულნი იყვნენ ამ შეძლებას.

აქედან აშკარაა, რომ არჩეულ კანდიდატთა შემადგენლობის და ხალხის ნებისყოფის შორის საერთო არაფერი იქნება შესახებ ზავის ჩამოგდებისა.

16. ზევით ჩამოთვლილ გარემოებებს ის მოსდევს შედეგათ, რომ დამფუძნე- [illegible] პროლეტართა და გლეხთა რევოლიუციის წინეთ შედგენილ სიებით, ბურჟუაზიის ფარფაშობის ხანაში, უნდა აუცილებლათ შეეჯახოს მშრომელ ხალხის ნების ყოფას და ინტერესებს; ბუნებრივია, რომ ამ რევოლიუციის ინტერესები მაღლა სდგანან ვიდრე ფორმალური უფლება დამფუძნებელი კრებისა, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ამ ფორმალურ უფლებას დამფუძნებელ კრების დებულების" ძალით ხელს ვერ შეახებს ხალხი ხელმეორე არჩევნების მოხდენით.

17. ყოველი ცდა, რათა დამფუძნებელ კრების შესახებ კითხვა განხილულ იყოს ფორმალური იურიდიული თვალთახედვით, ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ჩარჩოებში, მიუღებლათ სახეში კლასთა ბრძოლის პრინციპისა და სამოქალაქო ომისა—იქნება პროლეტარიატის ღალატი და ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დადგომა. რევოლიუციონურ სოც. დემოკ. მოვალეობაა გააფთხილოს ყველა ამ შეცდომისგან, ნამეტნავათ ზოგიერთი ბოლშევიკებიც, რომელთაც ვერ დააფასეს ოქტომბრის რევოლიუცია და მუშათა დიქტატურის მიზანი.

18. რათა უმტკივნეულოთ გადასწყდეს ის კრიზისი, რომელიც გამოწვეულია არჩევნების შეუფერებლობით ხალხის ნებისყოფასთან და აგრეთვე მშრომელთა და გაყვლეფილ კლასთა ინტერესებთან, ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება სრულიათ და ფართოთ ისარგებლოს ხალხმა თავის უფლებით ახალ არჩევნების მოსახდენათ (რათა ნაცვლათ წინეთ არჩეულისა აირჩიონ ახალი წევრი დამფუძნებელი კრებისა). საჭიროა, რომ თვითონ დამფუძნებელმა კრებამ მიიღოს კანონი შესახებ ახალ არჩევნებისა, უკამათოთ იცნოს საბჭოს მთავრობა, საბჭოს რევოლიუცია, მისი პოლიტიკა შესახებ ზავისა, მიწისა, მუშების კონტროლისა, რომ, ამის გარდა, დამფუძნებელი კრება მიემხროს იმ ჯგუფს, რომელიც ალიარებს კადეტურ-კალედინის კონტრრევოლიუციონერობას.

19. ამ პირობების გარეშე დამფუძნებელ კრებასთან დაკავშირებული კრიზისის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოთ რევოლიუციონურის გზით, რომელიც უნდა იყოს ენერგიული, სწრაფი და შეურყეველი საბჭოს მთავრობისგან, მიმართული კადეტურ-კალედინის კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ, როგორი ლოზუნგებით და დაწესებულებებით არ უნდა გამოვიდეს ეს უკანასკნელი. ყოველი ცდა, რომელიც კი იქნება მიმართული საბჭოს მთავრობის ხელშესაშლელათ ჩაითვლება კონტრრევოლიუციის დახმარებათ.

## ბურჟუაზიის პარტია „კადეტები" ხელმძღვანელობენ მენშევიკებს და მემარჯვენე ესერებს.

ყოველ ღონისძიებით ებრძვიან კადეტები მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოებს და აცხადებენ ამ საბჭოებს „თვითნებურ" ორგანიზაციებათ. ამ საბჭოებში ს. დ. ბოლშევიკები მოითხოვენ, რომ მთელი ძალა-უფლება მართვა გამგეობისა ქონდეს მხოლოდ ამ საბჭოებს მენშ. და მემარჯვენე ესერები ამ საბჭოებს აცხადებენ წარმავალ და დრო მოჭმულ ორგანიზაციებათ და მოითხოვენ, რომ სანამ დამფუძნებელი კრება შესდგებოდეს, მართვა-გამგეობის უფლება ქონდეს ბურჟუაზიულ-ნაციონალურ ორქოფ- [illegible] რიატს" და არა მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოებს, რადგანაც ესენი წარმავალიაო.

ვნახოთ შედეგი ასეთ მენშევიკ-ესერების მოქმედებისა: ყველამ კარგათ იცის, რომ კაპიტალისტურ წარმოებაში ყველა კაპიტალის მონა არის. ბურჟუაზია კაპიტალის პატრონია და თუ რომელიმე ხელმწიფე ე. ი. კაპიტალის მოჯამაგირე ეურჩებოდა რომელიმე ხალხისაგან არჩეულ პარლამენტს, როდესაც ეს პარლამენტი მოითხოვდა მშრომელ ხალხის დაკმაყოფილებას, რატომ არ შეეძლება რომ თვით კაპიტალის პატრონმა ე. ი. ბურჟუაზიამ გარეკოს ის დამფუძნებელი კრება ე. ი. ხალხის პარლამენტი, როდესაც ეს კრება მოინდომებს დაჩაგრულ ხალხის დაკმაყოფილებას ე. ი. მიწის გადაცემას. რვა საათის დაკანონებას ყოველ დარგში და წარმოებაზე მუშის კონტროლის დაწესებას? ეს ხომ ბურჟუაზიის ბატონობის გაუქმების დასაწყისი იქნებოდა და ამიტომაც არის რომ ის საბჭოებს თვითნებურ ორგანიზაციებათ აცხადებს და მენშევიკ-ესერებსაც ასე ასწავლის, რომ ესენი წარმავალიაო, რომ ბოლოს დამფუძნებელ კრების ძალით მთლათ გააუქმოს ისინი, რადგანაც კარგათ იცის, რომ დამფუძნებელ კრებას ადვილათ გარეკავს და მთელ რუსეთში ყველგან მოდებულ სრულ უფლებიან საბჭოებს კი ველარ შეებრძოლება. ბევრი იტყვის მენშევიკ-ესერები მშრომელ ხალხის პარტიაა და ამ საქმეს არ მოითმენენო მაგრამ ჩვენ მოქმედებამ დაგვანახვა, რომ მენშევიკ-ესერები ომის დაწყებიდან დღემდის კადეტებთან ერთათ (პარტიებში [illegible] ერთათ [illegible] ქლენა, რომ სრულ თანხმობით აწარმო[illegible] საქმეების და სა[illegible] მაგრამ ამ [illegible]

კალათების შემდეგ სრულიად გასწყვიტა ყოველივე კავშირი არა მარტო სოციალიზმთან, არამედ დემოკრატიზმთანაც და მით უზრუნველყო თავისი თავი ყოველგვარ ხიფათისაგან? ეგრე იყოს. ჩვენ კი ვიტყვით, რომ საფრთხე მოელის არა ლენინის თავს, არამედ ბურჟუაზიულ ოქროს ხბოს სამეფოს, რადგან უკვე დაიმსხვრა მისი ტაძარი და მოეღო ბოლო მის თაყვანისცემას.

მ. ტოროშელიძე.

## თეზისები დამფუძნებელ კრების შესახებ.

1. რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიული პროგრამა კანონიერათ მოითხოვდა, რათა მოწვეული ყოფილიყო დამფუძნებელი კრება, ვინაიდან ეს უკანასკნელი ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში უნდა ჩაითვალოს დემოკრატიზმის უმაღლეს ფორმათ, ვინაიდან კერენსკის იმპერიალისტური რესპუბლიკა ერთის მხრივ ქმნიდა წინასწარ პარლამენტს და მეორის მხრივ ყალბ არჩევნებს ნიადაგს უმზადებდა დემოკრატიზმის დარღვევით.

2. რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია, მოითხოვდა რა რევოლიუციის პირველ დღიდანვე დამფუძნებელ კრების მოწვევა, იმავე დროს არა ერთხელ უსვამდა ხაზს იმ აზრს, რომ საბჭოების რესპუბლიკა წარმოადგენს დემოკრატიზმის უმაღლეს ფორმას, ვიდრე ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რესპუბლიკა თავის დამფუძნებელი კრებით.

3. ბურჟუაზიული წესწყობილებიდან სოციალისტურზე გადასასვლელათ, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლათ—საბჭოების რესპუბლიკა იქნება არამც თუ ფართე დემოკრატიულ დაწესებულებათა უმაღლეს ტიპისა, არამედ [illegible] ფორმა, რომელიც უმტკივნეულოთ უზრუნველყოფს სოციალიზმში გადასვლას.

4. დამფუძნებელი კრების მოწვევა ჩვენს რევოლიუციაში იმ სიებით, რომელნიც შედგენილნი იყვნენ ოქტომბრის ნახევარში 1917 წ., ხდება იმ პირობებში, რომელნიც ხელს უშლიან საზოგადოებრივ აზრის და კერძოთ მშრომელ მასების გამოხატონ სწორეთ თავის ნებისყოფა არჩევნების შემწეობით.

5. ჯერ ერთი, რომ, პროპორციონალური სისტემა არჩევნებში იმ შემთხვევაში გამოხატავს ხალხის ნების ყოფას, როდესაც პარტიული სიები შეეხამებიან ხალხის რეალურ დაყოფასთან ჯგუფებათ, რომელნიც სიებში გამოიხატენ. ჩვენში კი როგორც ვიცით, ს.-რ. პარტიამ, რომელსაც ჰქონდა ოქტომბრამდე ბევრი მომხრე ყველა ხალხში, განსაკუთრებით გლეხობაში, ოქტომბრის ნახევარში წარმოადგინა ერთიანი სია დამფუძნებელი კრებისთვის, მაგრამ შემდეგში ე. ი. ოქტომბრის ნახევრის შემდეგ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ეს პარტია ორათ გაიყო. ამის გამო დღეს ფორმალურათაც აღარ არსებობს შეთანხმება ამომრჩეველთა მასისა და მიერ არჩეულ კანდიდატთა შორის.

6. მთავარი, რომელსაც აქვს არა ფორმალური, იურიდიული, არამედ უფრო ასეთი მნიშვნელობა, მნიშვნელობა საზოგადოებრივ-ეკონომიური, კლასიური ხალხის და უმეტესად [illegible] ნების ყოფის და დამფუძნებელი [illegible] შემადგენლობის შორის, მდგომარეობს იმაში [illegible], რომ დამფუძნებელ კრების არჩევნები მოხდა მაშინ, როდესაც ხალხმა არ [illegible] იცოდა კიდევ სიფართოვე და მნიშვნელობა ოქტომბრის პროლეტარ-გლეხური რევოლიუციისა, რომელიც დაიწყო ოქტომბრის 25 1917 წელსა და რომელიც, მაშასადამე მოხდა დამფუძნებელ კრებისთვის კანდიდატთა სიის წარდგენის შემდეგ.

7. ოქტომბრის რევოლიუცია ჩვენ თვალწინ განიცდის თავის თანდათანობითი განვითარებას.

8. იგი დაიწყო გამარჯვებით 24—25 ოქტომბერს სატახტო ქალაქში, როდესაც მეორე სრულიად რუსეთის მუშათა და სალდათთა საბჭოების ყრილობამ, ამ პროლეტარების ავანგარდმა და გლეხობის პოლიტიკურათ მომქმედ ნაწილმა მიანიჭა უპირატესობა ბალშევიკების პარტიას და დააყენა მართვა-გამგეობის სათავეში.

9) შემდეგში რევოლიუცია, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში თანდათან აქცევდა თავის ფარგლებში მთელს მხედრობას და გლეხობას, რომელიც გამოიხატებოდა უპირველესათ იმაში, რომ სცვლიდა და ახალ პირებს აყენებდა არსებულ სამხედრო კომიტეტების სათავეში, სრულიათ რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოშიდა სხ. ვინაიდან ეს კომიტეტები აწარმოებდენ თანხმობითი პოლიტიკას ბურჟუაზიასთან რევოლიუციაში და მაშასადამე, უნდა ჩამობრძანებულიყვნენ ტახტიდან ფართო მასების ძალ დატანებით,

10. ეს მშრომელი მასების ძლიერი მოძრაობა, რომელიც მიმართულია მათ ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებისაკენ, ჯერ კიდევ დღემდე, დეკემბრის ნახევრამდე არ დასრულებულა არ დასრულებულა კიდევ რკინის გზაზე მოსამსახურეთა ყრილობა, რომელიც ერთი ეტაპთაგანია ამ მოძრაობისა.

11. რუსეთში კლასთა ძალების ურთიერთშორის განწყობილება მათ კლასიურ ბრძოლაში მხოლოდ ნოემბრის და დეკემბრის 1917 წელს აშკარავდება და ირკვევა, რომ ეს ურთიერთობა უფრო სხვანაირია ვიდრე იყო იგი პარტიულ კანდიდატთა სიებში ოქტომბრის ნახევარში 1917 წელსა.

12. უკანასკნელი ამბები უკრაინაში (აგრეთვე ფინლიანდიაში, ბელორუსიაში და კავკასიაში) მოხდარი მაჩვენებელნი არიან კლასთა ძალების ახალ გადაჯგუფებისა, რომელიც ხდება ბრძოლის პროცესში უკრაინის რადის ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ფინეთის სეიმის და სხ. და საბჭოების მთავრობის შორის ჩამოთვლილ ნაციონალურ რესპუბლიკებში.

13. სამოქალაქო ომმა, რომელიც გამოიწვია საბჭოთა მთავრობას, ე. ი. მუშათა და გლეხთა მთავრობას კადეტკალედინის კონტრ-რევოლიუციონურმა აჯანყებამ ხომ ცხადათ გაამწვავა კლასთა ბრძოლა და მოსპო შეძლება, რომ ფორმალურ დემოკრატიულის წესით გადაწყვეტილიყო საჭირ-ბოროტო კითხვები, ისტორიისგან წამოყენებული რუსეთის ხალხის წინაშე და უპირველესათ მუშათა კლასისა და გლეხობისა.

14. მხოლოდ მუშათა და გლეხთა სრული გამარჯვება მემამულეების და ბურჟუების აჯანყებაზე, რომელიც გამოიხატა კადეტებ-კალედინების მოძრაობაში, მხოლოდ დაუნდობარი, იარაღით ხელში, ჩაქრობა ამ აჯანყებისა—უზრუნველყოფს პროლეტარიატის და გლეხების რევოლიუციას, ვითარების მსვლელობას და კლასთა ბრძოლის რევოლიუციის ხანაში შედეგათ ის მოყვა, რომ ლოზუნგი „მთელი ძალა-უფლება დამფუძნებელ კრებას", თითქო „ჩირ თაც" არ თვლის მუშების და გლეხების რევოლიუციის მონაგარს. არაფრათ არ აგდებს საბჭოს მთავრობას. ანგარიშს არ უწევს მეორე სრულიათ რუსეთის გლეხთა დეპუტატების ყრილობას და სხ. ეს ლოზუნგი გადაიქცა კადეტების კალედინების და მით დამქაშთა ლოზუნგათ. ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ეს ლოზუნგი მიზნათ ისახავს საბჭოს მთავრობასთან ბრძოლას და თუ მართლა დამფუძნებელი კრება არ შეურიგდა საბჭოს მთავრობას, მაშინ მას პოლიტიკური სიკვდილი არ ასცდება,

15. ხალხის ცხოვრებაში ერთ უმთავრეს კითხვათაგანს შეადგენს—კითხვა ზავის შესახებ. რევოლიუციონური ბრძოლა ზავის სასარგებლოთ დაიწყო რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ 25 ოქტომბერში, და ამ ბრძოლამ გამოიღო პირველი ნაყოფი: საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებით, წინასწარის შერიგებით და საჯარო მოლაპარაკებით საერთო ზავზე უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ.

ფართო ხალხის მასებმა მხოლოთ ეხლა შესძლეს საქმით, სავსებით და ნათლათ ენახათ რევოლიუციონური ბრძოლის პოლიტიკა ზავის სასარგებლოთ დაწყებული და შეესწავლათ მისი შედეგები.

არჩევნების დროს კი დამფუძნებელ კრებისთვის ხალხის ფართო მასები მოკლებულნი იყვნენ ამ შეძლებას.

აქედან აშკარაა, რომ არჩეულ კანდიდატთა შემადგენლობის და ხალხის ნებისყოფის შორის საერთო არაფერი იქნება შესახებ ზავის ჩამოგდებისა.

16. ზევით ჩამოთვლილ გარემოებებს ის მოსდევს შედეგათ, რომ დამფუძნებელი კრება, რომელიც მოწვეული იყო პროლეტართა და გლეხთა რევოლიუციამდე წინეთ შედგენილ სიებით, ბურჟუაზიის ფაფაშობის ხანაში, უნდა აუცილებლათ შეეჯახოს მშრომელ ხალხის ნების ყოფას და ინტერესებს; ბუნებრივია, რომ ამ რევოლიუციის ინტერესები მაღლა სდგანან ვიდრე ფორმალური უფლება დამფუძნებელი კრებისა, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ამ ფორმალურ უფლებას დამფუძნებელ კრების დებულებისა ძალით ხელს ვერ შეახებს ხალხი ხელმეორე არჩევნების მოხდენით.

17. ყოველი ცდა, რათა დამფუძნებელ კრების შესახებ კითხვა განხილულ იყოს ფორმალურ იურიდიული თვალთახედვით, ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ ჩარჩოებში, მიუღებლათ სახეში კლასთა ბრძოლის პრინციპისა და სამოქალაქო ომისა—იქნება პროლეტარიატის ღალატი და ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დადგომა. რევოლიუციონურ სოც. დემოკ. მოვალეობაა გააფთხილოს ყველა ამ შეცდომისგან, ნამეტნავათ ზოგიერთი ბალშევიკებიც, რომელთაც ვერ დააფასეს ოქტომბრის რევოლიუცია და მუშათა დიქტატურის მიზანი.

18. რათა უმტკივნელათ გადასწყდეს ის კრიზისი, რომელიც გამოწვეულია არჩევნების შეუფერებლობით ხალხის ნებისყოფასთან და აგრეთვე მშრომელთა და გაყვლეფილ კლასთა ინტერესებთან, ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება სრულიათ და ფართოთ ისარგებლოს ხალხმა თავის უფლებით ახალ არჩევნების მოსახდენათ (რათა ნაცვლათ წინეთ არჩეულისა აირჩიონ ახალი წევრი დამფუძნებელი კრებისა). საჭიროა, რომ თვითონ დამფუძნებელმა კრებამ მიიღოს კანონი შესახებ ახალ არჩევნებისა, ეკამათ იცნოს საბჭოს მთავრობა, საბჭოს რევოლიუცია, მისი პოლიტიკა შესახებ ზავისა, მიწისა, მუშების კონტროლისა, რომ, ამის გარდა, დამფუძნებელი კრება მიემხროს იმ ჯგუფს, რომელიც ალიარებს კადეტურ-კალედინის კონტრ-რევოლიუციონერობას.

19. ამ პირობების გარეშე დამფუძნებელ კრებასთან დაკავშირებული კრიზისის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოთ რევოლიუციონურის გზით, რომელიც უნდა იყოს ენერგიული, სწრაფი და შეურყეველი საბჭოს მთავრობისგან, მიმართული კადეტურ კალედინის კონტრ-რევოლიუციის წინაამდეგ, როგორი ლოზუნგებით და დაწესებულებებით არ უნდა გამოვიდეს ეს უკანასკნელი. ყოველი ცდა, რომელიც კი იქნება მიმართული საბჭოს მთავრობის ხელშესაშლელათ ჩაითვლება კონტრრევოლიუციის დახმარებათ.

## ბურჟუაზიის პარტია „კადეტები" ხელმძღვანელობენ მენშევიკებს და მემარჯვენე ესერებს.

ყოველ ღონისძიებით ებრძვიან კადეტები მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოებს და აცხადებენ ამ საბჭოებს „თვითნებურ" ორგანიზაციებათ. ამ საბჭოებში ს. დ. ბალშევიკები მოითხოვენ, რომ მთელი ძალა-უფლება მართვა გამგეობისა ქონდეს მხოლოდ ამ საბჭოებს. მენშ. და მემარჯვენე ესერები ამ საბჭოებს აცხადებენ წარმავალ და დრო მოჭმულ ორგანიზაციებათ და მოითხოვენ, რომ სანამ დამფუძნებელი კრება შესდგებოდეს, მართვა-გამგეობის უფლება ქონდეს ბურჟუაზიულ-ნაციონალურ ოროფ-ინტერ-პარტიულით შექმნილ „კომისარიატს" და არა მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოებს, რადგანაც ესენი წარმავალია.

ვნახოთ შედეგი ასეთ მენშევიკ-ესერების მოქმედებისა: ყველამ კარგათ იცის, რომ კაპიტალისტურ წარმოებაში ყველა კაპიტალის მონა არის. ბურჟუაზია კაპიტალის პატრონია და თუ რომელიმე ხელმწიფე ე. ი. კაპიტალის მოჯამაგირე ეთაკებოდა რომელიმე ხალხისაგან არჩეულ პარლამენტს, როდესაც ეს პარლამენტი მოინდომებდა მშრომელ ხალხის დაკმაყოფილებას, რატომ არ შეეძლება რომ თვით კაპიტალის პატრონმა ე. ი. ბურჟუაზიამ გარეკოს ის დამფუძნებელი კრება ე. ი. ხალხის პარლამენტი, როდესაც ეს კრება მოინდომებს დაჩაგრულ ხალხის დაკმაყოფილებას ე. ი. მიწების გადაცემას, რვა საათის დაკანონებას ყოველ დარგში და წარმოებაზე მუშის კონტროლის დაწესებას? ეს ხომ ბურჟუაზიის ბატონობის გაუქმების დასაწყისი იქნებოდა და ამიტომაც არის რომ ის საბჭოებს თვითნებურ ორგანიზაციებათ აცხადებს და მენშევიკ-ესერებსაც ასე ასწავლის, რომ ესენი წარმავალია, რომ ბოლოს დამფუძნებელ კრების ძალით მთლათ გააუქმოს ისინი, რადგანაც კარგათ იცის, რომ დამფუძნებელ კრებას ადვილათ გარეკავს და მთელ რუსეთში ყველგან მოდებულ სრულ უფლებიან საბჭოებს კი ველარ შეებრძოლება. ბევრი იტყვის მენშევიკ-ესერები მშრომელ ხალხის პარტიაა და ამ საქმეს არ მოითმენენო მაგრამ ჩვენ მოქმედებამ დაგვანახვა, რომ მენშევიკ-ესერები ომის დაწყებიდან დღემდის კადეტებთან ერთათ (პარტიებში ყოფნით) სრულ თანხმობით აწარმოებენ ყველა საქმეების და საკითხების პოლიტიკას. მაგრამ ამ რვა თვე ნახევრის პოლიტი-

ქურ თავისუ ილებამ მრავალ მშრომელ ხალხს აუხილა თვალი და როდესაც ხალხმა გაარჩია ცხვრის ტყავში გადაცმული მგლები, მაშინ მას ზურგი შეაქცია და თავის ინტერესების და თავის ტკივილების მომრჩენი პარტია შექმნა და მენშევიკ-ესერების ორგანიზაციებმ დაიშრიტა მთელ რუსეთში. მაგრამ ამ პარტიების ორგ ნიზატორები გამოიშურენ კავკასიაში, რომ აქ მაინც შეინარჩუნონ თავიანთი უკულმართი პოზიცია და თვალ ახვეული ხალხი ნასუფრალ ძვლებით აშოშმინონ. მიგრამ თურმე აქაც ჩქარი ნაბიჯით ბრუნავს შეგნების წისქვილი და არჩევენ მტრებს და მეგობრებს; ხალხს ესმის, რომ თუ ეხლა, როდესაც ხალხი შეიარაღებულ ძალას წარმოადგენს, ის არ განახორციელებს, და არ მოირჩენს თავის ტკივილებს. მერე როდესაც ხალხს იარაღი ჩამოერთმევა და სახლში უიარაღოთ დაბრუნდება და განცალ-ცალკევდება, მაშინ ვერაფერს ვერ მიიღებს იმიტომ, რომ ბურჟუაზია ისეთი ტუტუცი არ არის, რომ თავის დამცველი პოლკები და სტრაჟნიკები არ შექმნას და ისინი კარგათ დაჯილდოვებულნი თავის ბრმა იარაღათ არ გამოიყენოს და ისინი გაფიცულ მუშების და მბოხებულ გლეხების წინააღდეგ არ მიმართოს. აგრეთვე ამ თავის მცველ პოლკების საშუალებით გარეკავს იმ ღამფუძნებელ კრებასაც, რომელიც შეეხება. მემამულეებისა და კაპიტალი პატრონების ბატონობას, და მოიწვევს ისეთს, რომელიც მას კერძო საკუთრების დამცველი იქნება. საკვირველია, რათ უთითებენ მენშევიკ-ესერები ხალხს მიწის და პურის მიღებას, როდესაც ხალხს წინ უდევს ის და ჩამორთმევის მეტი არაფერი უნდა, რომ ბოლოს დამფუძნებელმა კრებამ მხოლოდ შესწორება შეიტანოს. ამ ჩამორთმევაში.

კმარა ბატონებო მწიგნობარნო! და ფარისეველნო! ხალხის სიბნელით სარგებლობა! და მატყუარობა! ჩამოიხადე თქვენი ჩადრი და ნამდვილ სახით დაენახვეთ ხალხს!

ნოე ლექაგა.

---

## თაგუნას ხუმრობა.

ჩვენ ვაფასებთ იუმორს და სატირას. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ მწერალს, რომელიც ამ სფეროში რაიმე ნიჭს გამოიჩენს· ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი ვართ დრომოჭმული და ხავსმოკიდებული მოძღვრების". რომელიც ამბობს: ხელოვნება ხელოვნებ სბთვისო როცა ჩვენ რომელიმე იუმორისტ-სატირიკოსის ნაწარმოებს ვარჩევთ, კითხვას ვსვამთ: როგორი ნიჭის პატრონია იგი და რას ემსახურება, ე. ი რა რწმენის, პრინციპის, მიმართულების კაცია? შეიძლება მწერალი ნიჭიერი იყოს, მარა სრულიათ უპრინციპო; ხან ერთ ღმერთს ემსახურებოდეს, ხან მეორეს, ან და ერთ და იმავე დროს—რამდენიმე ღმერთს ერთად; შეიძლება იგი დღეს ერთ მიმართულებას ემსახურებოდეს, ერთ ორგანოში თანამშრომლობდეს, ხვალ—მეორეში გადაიბარგოს, ზეგ მესამეში და სხ. შეიძლება იგი პრინციპის კაციც იყოს, მარა ემსახურებოდეს რეაქციონურ მიმართულებას. გაბატონებულ კლასს, გამყვლეფელთა და მტარვალთა ინტერესს: ასეთი მწერალი, თავის თავათ ცხადია, მავნებელია, რომლის გამათახსიერებელ გავლენას მუშათა კლასზე ჩვენ ენერგიულათ უნდა ვებრძოდეთ.

ვინ არის თაგუნა? იგი ერთ დროს „ეშმაკის მათრახის" თანამშრომელი იყო. „ეშმაკის მათრახი" პირველი რევოლიუციის დროს (1905—6) და შემდეგ რეაქციის ხანაში, როცა ის პარტიულ-ფრაქციულათ ნეიტრალურ პოზიციას იდგა, დადებითი, სასარგებლო სიქმეს აკეთებდა, ვინაიდან მათრახს სცემდა რეაქციის მიერ წარმოშობილ მოვლენას, ფაქტებს და ტიპებს, ამ დროს თაგუნაც სასარგებლო საქმეს აკეთებდა. თაგუნას შესწორებ რომ დენიმეთ იუმორის ნიჭი, უბედურება ის არის, რომ ის სრულიათ უპრინციპო. უსაქმო, ზარმაცი, მოხეტიალე ადამიანია. წყალ-წყალა, უნიადაგო, მუცლით მხოხავ (მენშევიკების წინაშე) და ნაციონალის-„ალიონში" გადაბარგვის შემდეგ თაგუნა მოგვევლინა, როგორც წმინდა წყლის რენეგატი (პირველ რევოლიუციის დროს ის ბალშევიკი იყო), რომელსაც არ შეიძლება ზიზლით არ უყურებდეს მებრძოლი პროლეტარიატი და მისი პარტია. თაგუნამ სავსებით და სამართლიანათ დაიმსახურა ასეთი ზიზღი, მეტადრე მაშინ როცა რენეგატულ „ალიონში" (ამ ლაქიურ გაზეთში რედაქტორ-თანამშრომლები—ყველა ყოფილი ბალშევიკები, ყოფილი კაცები, რენეგატებია) თავის კოლეგებთან ერთათ დაიწყო გამოლაშქრება ბალშევიკების წინააღმდეგ. ეხლა ჩვენ ვხედავთ თაგუნას „ერთობის" თანამშრომლათ. ჩვენ ვიცით, რომ ერთ დროს გვარიანი შეხლა-შემოხლა იყო „ერთობასა" და „ალიონს" შორის. ეს ბრძოლა ხშირათ ჩუმი იყო. „ერთობა" ძალიან ძვირათ ეკამათებოდა „ალიონს" უფრო პრაქტიკულათ გვერდს უვლიდა ამ ჯგუფს, როგორც უმნიშვნელოს და უნიადაგოს. „ალიონელები" უფრო ხშირათ უსამართლოთ შეურაცყოფილის როლში გამოდიოდენ და საწყლათ წუწუნებდენ. რა დავაშავეთ, „ერთობა" რომ არ გვწყალობს, სხვა თუ არა, ბალშევიკებს კი ვლანძღავთ მაინცო. „ერთობა" (წინეთ—„აზრი") განზრახ გაურბოდა „ალიონთან" კამათის გამწვავებას, (თუმცა საკამათო მაშინ მათ შორის ცოტა რამ მაინც იყო). იმიტომ, რომ ეს რენეგატთა ლაშქარი ეხმარებოდა მას ბალშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში რით აიხსნება თაგუნას ადასვლა "ერთობაში" ჩვენ ვფიქრობთ. რომ „ალიონსა" და „ერთობას" შორის თუმცა უკანასკნელ ხანებში.

როცა მენშევიკები სრულით გაითქვიფენ ნაციონალისტების ხროვაში, განსხვავება თითქმის სრულიათ წაიშალა, მარა თაგუნას საქციელი აიხსნება არა ამ გარემოებით არამედ მისი პოლიტიკური მოუმწიფებლობით, დაუდევრობით, რენეგატული ბუნებით. ეხლა თაგუნა ობორონცულ „ერთობიდან" ებრძვის ბალშევიკებს. ამ გაზეთის 229 ნომერში მოთავსებულია მიმი ხუმრობა; „სიზმარი", რომელიც ...თალია, ზოგიერთ იუმორს არაა მოკლებული, მარა მისი ზოგიერთი ადგილები ამტკიცებენ ავტორის პოლიტიკურ უმანკოებას უვიცობას. ჩვენ სრულიათ ვეთანხმებით ავტორს, როცა ის ბალშევიკებს აწერს იხეთ „საშინელებას", რომელიც გამოიხატება მენშევიკ-ობორონცების ლიდერების—წერეთლის, ჩხეიძის, ჟორდანიას და კომპ.—კონტრრევოლიუციონერებათ გამოცხადებაში. მართალია, ეს ლიდერები, მენშევიკების კერპები, არსებითათ (საქმით და არა სიტყვებით) კონტრრევოლიუციის საქმეს ემსახურებიან, მეტადრე ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, მარა სრულიათ უსამართლოთ იქცევა თაგუნა, როცა, ოხუნჯობს, რომ ბალშევიკებმა მარქსიც კონტრ-რევოლიუციონერათ გამოაცხადესო. დღეს ყველამ (გარდა თაგუნასა და კომ.) იცის, რომ რუსეთში ერთად ერთი დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი რევოლიუციონური ინ ერნაციონალიზმის ანუ მარქსიზმის არის ბალშევიკების პარტია, რომელიც თავიდანვე, განსაკუთრებით თებერვალ-მარტის დღეებიდან უპირდაპირდება ე. წ. ობორონცებს (მენშევიკ-ესერებს), როგორც მარქსიზმის, ინტერნაციონალიზმის და რევოლიუციის მოღალატეებს. ეს ფაქტია, რომლის წინაშე უძლურია ყოველგვარი დემაგოგია, ტყუილები და რენეგატების ირონია.

ამნაირათ, თაგუნას იუმორისტული მოღვაწეობა, მიმართული ბალშევიკების წინააღმდეგ, ნიშნავს რეაქციის სამსახურს.

მეზობელი.

---

## რუსეთის ქრონიკა.

### უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა ქ. მოსკოვში.

1917 წლ 18 დეკემბრიდან საქალაქო მიწების გასაზოგადოებრივობის ახლო მომავალში დაკანონების გამო შეწყვეტილია ქ. მოსკოვში ყოველ გვარი მორიგების მოხდენა ყიდვა-გაყიდვის, დაგირავების და სხვა ყველა უძრავ ქონებაზე მიწებზე.

### რათ ჩამოვიდა გერმანიის დელეგაცია პეტროგრადში.

ყველა ბურჟუაზიული და ობორონცული გაზეთები ალაპარაკდენ ამას წინათ გერმანიის დელეგაციის პეტროგრადში ჩამოსვლის გამო. ისინი თავს ისე გვიჩვენებდენ, ვითომ არ იციან მიზანი დელეგაციისა და ათას გვარ ჭორების გავრცელებას შეუდგენ: ამბობდენ ვითომ დელეგაცია საბჭოთა მთავრობასთან საიდუმლო მოლაპარაკებას მართავსო და სხ. ნამდვილათ კი ყველამ იცოდა, რომ წინასწარ მორიგების პირობებში ცხადათ და ნათლათ არის აღნიშნული მუხლი, რომელიც ამ დელეგაციის ჩამოსვლაზე გველაპარაკება. „რევოლიუციონერები" თავს იბრუნებენ თითქო არ იციან საქმე რაშია, მაშინ როდესაც მათი ინგლისელი თანამოძმეები კარგათ გრძნობენ, რომ აქ დაფარული არაფერია. აი ამ ინგლისელ მოძმეების სრული ტელეგრამის სწორი ტექტი, რომელიც საგანს საუბროფს:

„გუშინ, ოთხშაბათ საღამოს, პეტროგრადს ესტუმრა დამატებითი კომისია რუსეთ-გერმანიის შორის დაწყებულ საზავო მოლაპარაკების დასამთავრებლათ. კომისიას ხელ მძღვანელობს გრაფი მირბახი და მიზნათ აქვს პირობები შეიმუშავონ. სამოქალაქო პირებს და დავრდომილ-დასაპყრებულ ტყვეების გაცვლის შესახებ, აგრეთვე როგორც ურთი ერთშორის, ისე მოკავშირე სახელმწიფოების შორის დამოკიდებულების აღსადგენ ზომების მისაღებათ, რაც წინასწარ მორიგების პირობებში უკვე აღნიშნულია.

### პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს განცხადება.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო აცხადებს თავის ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ მან თავისი მუშაობა სრული რეორგანიზაცია მოახდინა შემდეგ საფუძველზე. 1) განსაკუთრებ... ყურადღება მიექცევა ყოველივეს, რაც ... ზავის საქმესთან არის დაკავშირებ... 2) ინფორმაცია მთავრობის ყველა დაწ... სებულებების და მათი მოქმედება ... კარგულების, დამფუძნებელი კრების ... შათა, სალდათთა და გლეხთა დე... ტატების საბჭოების ცენტრალ... კომიტეტის 3) ეყოლება საკუთარი ... რესპ. ევროპის ყველა ცენ ადგილებ... 4) დამყარებულია კავშირი პირდაპ... მავთულით რუსეთის ყველა ცენტ... შორის, 5) სააგენტოს მჭიდრო კავში... აქვს დაკავებული ევროპის, აზიის, ... ამერიკის ველა სააგენტოებთან 6) მო... ყობილია საერთაშორისო ბეჭდვ... სიტყვის ბიურო რომ შესაძლებელი ... ხდეს სისტემატიურათ უცხოეთის პრეს... შიმოხილვა, აგრეთვე დაარსებულია პ... ტროგრადში ბეჭდვითი სიტყვის ბიურ... რუსეთის პრესისთვის. 7) სახალხო კ... მისარების საბჭოს დეკრეტის ძალით მთ... რობის დეპეშების შემდეგ „უწყებ... ყველა დეპეშებიც გადმოცემული იქნებ...

### ვის ხელშია ცენტრალური რუსეთ...

ქ. მოსკოვში გაიმართა მოსკოვის ... ქის მუშათა, სალდათთა და გლეხთა დე... პუტატების საბჭოების შეერთებ... სიეზდი, რომელზედაც სწორი მანდატ... სულ 253 დელეგატი გამოცხადდა. ხო... სათათბირო ხმით 65. გადამწყვეტი ხმ... ბი ასე განაწილდება: 21 ხმ-მუშ... საბჭოების 99—მუშათა და სალდათ... შეერთებული საბჭოების: 84—მუშა... სალდათთა და გლეხთა შეერთებუ... საბჭოების: 32—გლეხთა დეპუტატ... საბჭოების. 2 გლეხთა და სალდათ... დეპუტატების შერთებული საბჭოებ... 2-იც სალდათთა საბჭო. სულ წარმ... გენილია 113 საბჭო.

პარტიული შედგენილობა ასეთ... 170—ბალშევიკია, 11—ბალშევიკებ... მომხრე ჯგუფების, 45—მემარცხენე ე... რები, 8—მენშევიკი, 6—მემარჯვენე ე... რები; 2—ს. ც. დ. პ. 1—ანარქის... 1—გაერთიანებული ს. დ. 6—უპარტ... და 1— სინდიკალისტი-

ამნაირათ მემარცხენეთა ბლოკი შე... გება 230 კაცისგან, ხოლო დანარჩე... 23 კაცი მემარჯვენეთა ბლოკს შიადგე...

ყველა რეზოლიუციები ბალშევიკებ... გადის!

---

## ორი ლექცია.

თფილისის მეორე რაიონის რ. ს. დ. მ. პ. (ბალშევიკების) ორგანიზაცია კვ... რას, 7 იანვარს ელექტრო-ბიოგრაფ... „აპოლლოს" სადგომში (მიხეილის პრ...) გამართავს ორი ლექციას: 1) ნაციონა... ლური საკითხი—წაიკითხავს ამხ. ფ. ... ხარაძე. 2) მიმდინარე მომენტი— წაი... კითხავს ამხ. ს. ქავთარაძე.

შესასვლელი ფასი 60 კ. სალდათ... ბისთვის 30 კ. დასაწყისი ცილის ... საათზე. ბილეთები იყიდება კომიტე... ... ეროში (ელისაბედის ქ. № 10) ... ლექციის წაკითხვის დღეს ელექტრო... ...პოლლოში".

ბიურო.

---

## ქუთაისის გუბერნიაში

მომქმედ ორგანიზაციების და ... ჯგუფების საყურადღებოთ, ქუთაისის რ. ს. დ. მ. პ. (მეუმრავლესეთა) კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველივე მიწერ-მოწერა და ორგანიზაციების მუშაობის შეკავშირება-შეთანხმება ევალება ამხ. ვას. კანდელაკს. მისამართი მისი (Кутаисъ. Госпитальная № 26).